




ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო



განკარგულება № 183

2013 წლის 24 დეკემბერი
ქალაქი ხაშური

წინა საახალწლო პერიოდში „გარე მოვაჭრეების“ დროებით განთავსების ადგილების განსაზღვრის შესახებ

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ნ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობის საამშენებლო საქმიანობისა და ადმინისტრაციული ზედამხედველობის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებლის 2013 წლის 12 დეკემბრის N4200 მოხსენებითი ბარათის შესაბამისად:

1. წინა საახალწლო პერიოდში, 2013 წლის 24 დეკემბრიდან 2014 წლის 14 იანვრამდე, „გარე მოვაჭრეების“ დროებით განთავსებისათვის განისაზღვროს შემდეგი ადგილები:
 - ა) რკინიგზის კლუბის მიმდებარე ტერიტორია;
 - ბ) აღმაშენებლის ქუჩა მარცხენა და მარჯვენა მხარეს (სკვერის მიმდებარე ტერიტორია);
 - გ) რკინიგზის სადგურზე ვაგზლის მხარეს;
 - დ) რუსთაველის ქუჩა (მემორიალის გვერდზე მდინარე სურამულას გასწვრივ);
 - ე) სტადიონის მიმდებარე ტერიტორია;
 - ვ) რუსთაველის ქუჩა (III საჯარო სკოლის წინ მდებარე ხუთსართულიანი შენობის წინ);
 - ზ) ქორწინების სახლის წინ;
 - თ) ყაზბეგის ქუჩა (I საჯარო სკოლის წინ).
2. განკარგულება გაეზავენოს ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობას;
3. ეს განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე;
4. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ხაშურის რაიონულ სასამართლოში (ქ. ხაშური, კოსტავას ქ. N15) ერთი თვის განმავლობაში.

საკრებულოს თავმჯდომარე
დავით ლომიძე

